განათლების პოლიტიკის დოკუმენტის 2019 წლის
I კვარტლის ანგარიში

სტრატეგიული მიმართულება 1	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის განვითარება
პროგრამა 1.1.	სახელმწიფო სტანდარტის დანერგვა
პროგრამის მიზანი	სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი, ხარისხიანი, საყოველთაოდ და თანაბრად ხელმისაწვდომი, ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდება.
პროგრამის მოსალოდნელი შედეგი	სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი, ხარისხიანი, საყოველთაოდ და თანაბრად ხელმისაწვდომი, ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდება.

ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი	შესრულება
მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში დადგენილი სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა	სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად მოქმედი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა რაოდენობა	✓
მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სწავლა/სწავლების, სანიტარულ-ჰიგიენური და კვების ორგანიზების ნორმების დანერგვა	სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად მოქმედი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა რაოდენობა	✓
სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების პროცესში ბავშვთა/მშობლების/ კანონიერი წარმომადგენლების ჩათვა	მშობელთა კომიტეტების რაოდენობა	✓
ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურებთან დაკავშირებით შესაბამისი ქმედებების განხორციელება	ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა	✓

ღონისძიება 1

მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში დადგენილი სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა

2019 წლის I კვარტალში

საანგარიშო პერიოდში, მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში მიმდინარეობდა დადგენილი სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები.

ღონისძიება 2

მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სწავლა/სწავლების, სანიტარულ-ჰიგიენური და კვების ორგანიზების ნორმების დანერგვა

2019 წლის I კვარტალში

საანგარიშო პერიოდში სისტემატიურად ტარდებოდა სწავლა/სწავლების, სანიტარიულ-ჰიგიენური და კვების ორგანიზების ნორმების დაცვის მონიტორინგი. სურსათის უვნებლობის ეროვნული სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე სისტემატიურად მიმდინარეობს მიმდინარე სარეაბილიტაციო და ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები.

ღონისძიება 3

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების პროცესში ბავშვთა/ მშობლების/ კანონიერი წარმომადგენლების ჩათვა.

2019 წლის I კვარტალში

წლის განმავლობაში ყველა საბავშვო ბაღში ფუნქციონირებს მშობელთა საკონსულტაციო საბჭოები (ჯგუფიდან არანაკლებ ერთი წარმომადგნელი). საბჭოები განიხილავენ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების პროცესში წარმოშობილ ყველა საკითხსა და პრობლემას და წარუდგენენ თავის მოსაზრებებსა და წინადადებებს საბავშვო ბაღების გაერთიანებას.
საანგარიშო პერიოდში გაიმართა შეხვედრები მშობელთა კომიტეტებთან.

ღონისძიება 4

ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურებთან დაკავშირებით შესაბამისი ქმედებების განხორციელება.

2019 წლის I კვარტალში

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მუნიციპალური დაწესებულების ყველა თანამშრომელი გაეცნო „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილების მოთხოვნებს. ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის ბრძანებით, ყველა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში გამოყოფილია ბავშვთა რეფერირების პროცედურებზე პასუხისმგებელი პირი.

პროგრამა 1.2.	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაცია/მონიტორინგი	
პროგრამის მიზანი	ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისათვის ფუნქციონირების უფლებამოსილების მინიჭება და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესრულების მიზნით სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მონიტორინგი.	
პროგრამის მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის განხორციელების შედეგად უზრუნველყოფილია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა დადგენილი სტანდარტების შესაბამისად ფუნქციონირება და სასკოლო ასაკის აღსაზრდელთა მაღალი სასკოლო მზაობა.	
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი	შესრულება
ქალაქში არსებული კერძო სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოკვლევა და დაწესებულებათა რეესტრის წარმოება	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა რეესტრი	✓

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ინფორმირება სკოლამდელი აღზრდის და განათლების სტანდარტების, ავტორიზაციის დებულებისა და მონიტორინგის პრინციპების თაობაზე	ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა; ჩატარებულ საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეთა რაოდენობა	✓

ღონისძიება 1

ქალაქში არსებული კერძო სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოკვლევა და დაწესებულებათა რეესტრის წარმოება

2019 წლის I კვარტალში

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური, მიმდინარე წლის 05 თებერვალს შეხვდა ქალაქში არსებულ კერძო სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებს. შეხვედრა ატარებდა სამუშაო ხასიათს. შეხვედრაზე განიხილეს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმის სხვადასხვა საკითხი. დაიგეგმა შემდგომი ურთიერთთანამშრომლობა.
შეხვედრაზე ასევე განხილულ იქნა რეეესტრის წარმოების წესი და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების

ღონისძიება 2

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ინფორმირება სკოლამდელი აღზრდის და განათლების სტანდარტების, ავტორიზაციის დებულებისა და მონიტორინგის პრინციპების თაობაზე

2019 წლის I კვარტალში

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის მიერ, პირველი კვარტალის განმავლობაში არაერთხელ მოეწყო საინფორმაციო და სამუშაო შეხვედრა, როგორც კერძო სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა წარმომადგენლებთან, ასევე, ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების" წარმომადგენლებთან და მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გამგეებთან და უფროსს აღმზრდელებთან.
შეხვედრაზე მოხდა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ინფორმირება სკოლამდელი აღზრდის და განათლების სტანდარტების, ავტორიზაციის დებულებისა და მონიტორინგის პრინციპების თაობაზე. შეხვედრები მიმდინარეობდა კითხვა - პასუხის რეჟიმში. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების თაობაზე არსებული ყველა საკანონმდებლო აქტი შეხვედრის წარმომადგენლებს სამსახურის მიერ დაეგზავნათ ელექტრონულად.

სტრატეგიული მიმართულება 2	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა	
პროგრამა 2.1.	ახალი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შენობების მშენებლობა და არსებული შენობების რეაბილიტაცია/ვაუჩერიზაციის მოდელის დანერგვა	
პროგრამის მიზანი	სახელმწიფო სტანდარების შესაბამისი, მაღალი ხარისხის სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა	
პროგრამის მოსალოდნელი შედეგი	გაზრდილია სახელმწიფო სტანდარების შესაბამისი, მაღალი ხარისხის სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობა	
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი	შესრულება

სკოლამდლი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო პროეტების მომზადება	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ახალი შენობების რაოდენობა	
სკოლამდლელი აღზრდის და განათლების დაწესებულებების რეაბილიტაცია- მშენებლობა	რეაბილიტირებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების არსებული დაწესებულებების რაოდენობა	✓

ღონისძიება 1

სკოლამდლი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო პროეტების მომზადება

შენიშვნა:

სკოლამდლი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო პროეტების მომზადება დაგეგმილია 2019 წლის მეორე კვარტალში.

ღონისძიება 2

სკოლამდლელი აღზრდის და განათლების დაწესებულებების რეაბილიტაცია - მშენებლობა

2019 წლის I კვარტალში

საანგარიშო პერიოდში, მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში დადგენილი სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით, მიმდინარეობდა ქ. ბათუმში, ლერმონტოვისა და ხიმშიაშვილის ქუჩების მიმდებარედ N27 საბავშვო ბაღის საძირკვლების გაძლიერების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

პროგრამა 2.2	ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა
პროგრამის მიზანი	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა როგორც ინფრასტრუქტურული, ისე სისტემური ადაპტაცია განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისათვის.
პროგრამის მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის განხორციელების შედეგად განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისათვის ხელმისაწვდომია მაღალი ხარისხის, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი, გამჭვირვალე, ინკლუზიური, ანგარიშვალდებულების პრინციპზე დაფუძნებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემა.

ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი	შესრულება
სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფა	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა რაოდენობა, რომელთა უზრუნველყოფა მოხდა საგანმანათელბლო რერსურსით	✓

ღონისძიება 1

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფა

2019 წლის I კვარტალში

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფის მიზნით, საანგარიშო პერიოდში, შესყიდული იქნა საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული საბავშვო წიგნები: „ვისწავლოთ შინ თვლა", „ვისწავლოთ შინ რიცხვები","100 რჩეული ქართული ხალხური ზღაპარი", „5-6 წელი - რიცხვები საბავშვო ბაღში". ასევე, საბავშვო ბაღებს საჩუქრად გადაეცა ილიას სახელმწიფო უნივერსიტრეტის მიერ გამოცემული სახელმძღვანელო „ადრეული ინკლუზიური განათლება", ასევე ნოდარ დუმბაძის საბავშვო ლექსების კრებული „ნოდარ ბაბუს ლექსები".

სტრატეგიული მიმართულება 3	ზოგადი განათლების ხელმისწვდომობის გაზრდა	
პროგრამა 3.1	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სკოლაში ტრანსპორტირების უზრუნველყოფა	
პროგრამის მიზანი	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისათვის ზოგადი განათლების მიღებისა და მათთვის განათლებისა და განვითარებისთვის აუცილებელი სერვისის მიწოდება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში ჩართვა და სოციალური ინტეგრაცია.	
პროგრამის მოსალოდნელი შედეგი	ზოგადი განათლების მიღება ყველა ბავშვისთვის თანაბრად ხელმისაწვდომია.	
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი	შესრულება
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ტრანსპორტირების უზრუნველყოფა საგანმანათლებლო დაწესებულებამდე	სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეების რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ ტრანსპორტირების სერვისით	✓

ღონისძიება 1

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ტრანსპორტირების უზრუნველყოფა საგანმანათლებლო დაწესებულებამდე

2019 წლის I კვარტალში

ღონისძიების ფარგლებში გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი და დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, „მომწოდებელმა“ აიღო ვალდებულება უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურება (სსიპ ქალაქ ბათუმის N13 საჯარო სკოლის 10 მოსწავლის სკოლამდე მიყვანა და შინ დაბრუნება).
,,მომწოდებელი'' საგარიშო პერიოდში (45 სასწავლო დღის განმავლობაში) დაკისრებულ მოვალეობას ასრულებდა ჯეროვნად და კეთილსინიდისიერად.

სტრატეგიული მიმართულება 4	საგანმანათლებლო ტურიზმის განვითარება
პროგრამა 4.1.	ბათუმის უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ადამიანური რესურსის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი	ხელი შეუწყოს ბათუმელ ლექტორ-მასწავლებლების საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცხოვრებაში ინტეგრაციას
პროგრამის მოსალოდნელი შედეგი	გაზრდილია საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში ბათუმელ ლექტორ - მასწავლებელთა აქტიური ჩართულობა

ღონისძიებები:	**შესრულების ინდიკატორი**	**შესრულება**
უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების ლექტორ-მასწავლებლებთან საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება	ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა; ჩატარებულ საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეთა რაოდენობა	✓
ბენეფიციართა შესარჩევად კრიტერიუმების შემუშავება	შემუსავებული კრტერიუმები	✓
ბენეფიციართა შესარჩევად კომისიის შექმნა და დებულების დამტკიცება	შემუშავებული დებულება	✓
კონკურსის საფუძველზე ბენეფიციართა შერჩევა და დაფინანსება	სტაჟირებაში მონაწილე უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთა რაოდენობა; საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთა რაოდენობა	✓

ღონისძიება 1

უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების ლექტორ-მასწავლებლებთან საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება

2019 წლის I კვარტალში

2019 წლის I კვარტალის განმავლობაში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის მიერ არაერთი საინფორმაციო და სამუშაო რეჟიმის შეხვედრა მოეწყო ქალაქში არსებულ უმაღლეს და პროფესიული სასწავლებლების ლექტორ - მასწავლებლებთან და პროგრამით დაინტერესებულ პირებთან.
შეხვედრები ატარებდა გაცნობით, საინფორმაციო და სამუშაო ხასიათს. შეხვედრა მიმდინარეობდა კითხვა - პასუხის რეჟიმში. გამოითქვა სხვადასხვა საინტერსო და ყურადსაღები მოსაზრებები, რომელთა გათვალისწინებაც სამომავლოდ პროგრამების დაგეგმვისას მოხდება. შეხვედრებზე გამოიკვეთა პროგრამით დაინტერესება და გამოითქვა სურვილი შემდგომი ორმხრივი თანამშრომლობის.

ღონისძიება 2

ბენეფიციართა შესარჩევად კრიტერიუმების შემუშავება

2019 წლის I კვარტალში

ღონისძიების ფარგლებში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, 2019 წლის 20 თებერვალს გამოცემული N181 ბრძანებით განისაზღვრა ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმები.

ღონისძიება 3

ბენეფიციართა შესარჩევად კომისიის შექმნა და დებულების დამტკიცება

2019 წლის I კვარტალში

ქვეპროგრამის ფარგლებში, მიმდინარე წლის 20 თებერვალს, გამოიცა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის N181 ბრძანება ,,ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის ,,საგანმანათლებლო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა'' ფარგლებში კომისიის შექმნის, კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე. აღნიშნული ბრძანებით დამტკიცდა ბენეფიციართა განაცხდის ფორმა (დანართი 2, დანართი 3) და ხელშეკრულების პროექტი (დანართი 4, დანართი 5) .

ღონისძიება 4

კონკურსის საფუძველზე ბენეფიციართა შერჩევა და დაფინანსება

2019 წლის I კვარტალში

საანგარიშო პერიოდში შემოვიდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში დასაქმებული ლექტორების: გიორგი აბუსერიძისა და ნიკოლოზ მეგრელიშვილის განცხადებები. ქვეპროგრამის ,,საგანმანათლებლო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის'' ფარგლებში შექმნილი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე გამოიცა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 20 მარტის N315 ბრძანება, რომლის საფუზველზეც, ერთჯერადი გასაცემლის სახით, ნიკოლოზ მეგრელიშვილს გამოეყო 3 000 (სამი ათასი) ლარი უკრაინაში, ქალაქ ტერნოპოლში, საერთაშორისო - სამეცნიერო და პრაქტიკულ კონფერციაში მონაწილეობის მიზნით. ასევე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 20 მარტის N315 ბრძანების საფუძველზე, ერთჯერადი გასაცემლის სახით, გიორგი აბუსერიძეს გამოეყო 3 000 (სამი ათასი) ლარი, ლატვიაში, ქალაქ ჯელაგვაში, საერთაშორისო - სამეცნიერო და პრაქტიკულ კონფერციაში მონაწილეობის მიღების მიზნით.

სტრატეგიული მიმართულება 5	ადამიანური კაპიტალი განვითარება	
პროგრამა 5.1	უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტების სწავლის სტიმულირება	
პროგრამის მიზანი	ბათუმელი სტუდენტების სწავლის სტიმულირება და მოტივაცია ისწავლონ უკეთ, რათა მომავალი თაობა იყოს მეტად აქტიური, წარმატებული და განვითარებული.	
პროგრამის მოსალოდნელი შედეგი	ფინანსური წახალისებით ამაღლებულია ბათუმელ სტუდენტთა აკადემიური მოსწრება.	
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი	შესრულება
ბენეფიციართა შესარჩევად კომისიის შექმნა და დებულების დამტკიცება	დამტკიცებული დებულება	✓

ღონისძიება 1

ბენეფიციართა შესარჩევად კომისიის შექმნა და დებულების დამტკიცება

2019 წლის I კვარტალში

საანგარიშო პერიოდში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, 2019 წლის 12 თებერვალს გამოიცა ბრძანება N146 ,,ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის ,,ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის'' ფარგლებში კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე''. აღნიშნული ბრძანებით გამოცხადდა კონკურსი და დამტკიცდა კონკურსის ჩატარების წესი და პირობები, კონკურსანტის განაცხადისა და კონკურსანტთა რეესტრის ფორმები.

პროგრამა 5.3	ახალგაზრდების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა
პროგრამის მიზანი	ბათუმელი ახალგაზრდების პრაქტიკული უნარების განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა, მათთვის დამატებითი სამუშაო გამოცდილების მიღების შესაძლებლობის მიცემა.
პროგრამის მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის განხორციელების შედეგად ბათუმელი ახალგაზრდებისათვის ხელმისაწვდომია

ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი	შესრულება
ბენეფიციართა შესარჩევად კრიტერიუმების შემუშავება		✓
ბენეფიციართა შესარჩევად კომისიის შექმნა და დებულების დამტკიცება		✓
კონკურსის საფუძველზე ბენეფიციართა შერჩევა და დაფინანსება	დაფინანსებულ ბენეფიციართა რაოდენობა	

ღონისძიება 1

ბენეფიციართა შესარჩევად კრიტერიუმების შემუშავება

2019 წლის I კვარტალი

ღონისძიების ფარგლებში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, 2019 წლის 12 თებერვალს გამოცემულიN144 ბრძანებით განისაზღვრა ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმები.

ღონისძიება 2

ბენეფიციართა შესარჩევად კომისიის შექმნა და დებულების დამტკიცება

2019 წლის I კვარტალი

ღონისძიების ფარგლებში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, 2019 წლის 12 თებერვალს გამოიცა ბრძანება N144 ,,ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის ,,პროფესიული განვითარების ხელშეწყობა'' ფარგლებში კომისიის შექმნის, კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე''. აღნიშნული ბრძანებით განისაზღვრა კომისიის შემადგენლობა და გამოცხადდა კონკურსი.

ღონისძიება 3

კონკურსის საფუძველზე ბენეფიციართა შერჩევა და დაფინანსება

2019 წლის I კვარტალში

საანგარიშო პერიოდში, შემოვიდა 31 (ოცდათერთმეტი) პირის განაცხადი, რომლებსაც სურთ უცხოეთში სტაჟირების ან გადამზადების მიზნით კონკურსში მონაწილეობის მიღება. ბენეფიციარები მოითხოვენ ტრანსპორტირების (ავიაბილეთის) დაფინანსების უზრუნველყოფას. კონკურსში გამარჯვებულთა გამოვლენა საანგარიშო წლის მეორე კვარტალში მოხდება.